

მ ე მ ო რ ა ნ ღ შ მ ი

(ურთიერთთანამშრომლობის შესახებ)

შეზღუდული შესუხისმგებლობის საზოგადოება „მარაბდა-კარნახის რკინიგზა“

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“

28 აპრილი 2012 წელი.

წინაპირობები:

გლობალური საქართველოს გამომწვევების წინაშე მდგომი, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში პირველად ხორციელდება უპრეცედენტო მასშტაბების ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელსაც ოფიციალურად “გაქო-თბილისი-ყარსის” ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტი (შემდგომში – *პროექტი*) ეწოდება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ “გაქო-თბილისი-ყარსის” პროექტი რეალობაში წარმოადგენს გაცილებით მასშტაბური პროექტის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც სამხრეთ კავკასიური რკინიგზების ქსელის მუშავებით კონტინენტის ორი ნაწილი აზია და ევროპა დაუკავშირდება ერთმანეთს – ეს პროექტი უკვე იწოდება “საუკუნის პროექტად” და “რკინის აბრეშუმის გზად”.

აღნიშნული პროექტი გარდა თავისი საქართველოს გეოკოლიტიკური და ეკონომიკურ-კუმანიტარული მნიშვნელობისა, ხსნის ახალ ჰორიზონტებს საქართველოში საქართველოს კლასის რკინიგზებთან ახალი თაობების აღზრდისა და მთი ბარანტირებული დასახლებების კუთხით.

ამდენად უაღრესად მნიშვნელოვანია პროექტის ფარგლებში ისეთ აკადემიურ და სპეციალიზირებულ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა როგორც არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელშიც ათწლეულების განმავლობაში დაბრძოლილი ცოდნა და გამოცდილება უსათუოდ დიდ სარგებელს მოუტანს პროექტს შემდგომი გავრითარებისა და მაღალი საქართველოს სტანდარტების შენარჩუნების კუთხით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მხარეები თანხმდებიან ხელი მოაწერონ წინამდებარე მემორანდუმს -

მუხლი 1. მემორანდუმის მხარეები

მემორანდუმის მხარეები არიან:

ერთის მხრივ -

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“, წარმოდგენილი დირექტორის – ბიძინა ბრეგაძის მიერ (შემდგომში – *რკინიგზა*);

მეორეს მხრივ -

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, წარმოდგენილი რექტორის მოადგილის – ლევან კლიმიაშვილის მიერ (შემდგომში – *უნივერსიტეტი*).

მუხლი 2. მემორანდუმის საბანო

2.1 შესავალი ნაწილი:

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რაც მთავარია ყავს ტრანსპორტისა და სამშენებლო ტექნოლოგიების სფეროზე მომუშავე მაღალი დონის კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი ხოლო რკინიგზა თავის მხრივ დაინტერესებულია მოიზიდოს ინტელექტუალური რესურსები პროექტის რეალიზაციის და შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, წინამდებარე დოკუმენტის ხელმომწერმა მხარეებმა განიზრახეს კიდევ უფრო განავითარონ და გააღრმავონ მათ შორის უკვე არსებული ურთიერთობები, ამასთან ყოველი ღონე იხმარონ პროექტის რეალიზაციის და შემდგომი განვითარების ფარგლებში ურთიერთ სასარგებლო ინიციატივების განსახორციელებლად.

2.2 შეთანხმება ძირითად პირობებზე:

2.2.1. რკინიგზა აცხადებს მზაობას ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას პროექტის ფარგლებში სტაჟირების პროგრამის დანერგვის გზით;

2.2.2 უნივერსიტეტი მზად არის უზრუნველყოს შესაბამისი კათედრების პროფესორ – მასწავლებელთა ჩართულობა პროექტის რეალიზაციის პერიოდში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისას საკონსულტაციო მომსახურების პროგრამაში;

2.2.3 უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რკინიგზისათვის პრიორიტეტულად ხელმისაწვდომი გახადოს პროექტის მიმდინარეობისას აუცილებლობით გამოწვეული საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურებათა პაკეტი;

2.2.4 მხარეები იღებენ ვალდებულებას მოახდინონ ინფორმაციების გაცვლა სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში უნივერსიტეტის მიერ შექმნილ გამოგონებებზე და ამ დარგში მსოფლიოში არსებულ სიახლეებზე, შემდგომში მათი პროექტის ფარგლებში გამოყენების პერსპექტივით;

2.2.5 გარდა ზემოთ აღნიშნულისა მხარეები ითანამშრომლებენ სხვა ნებისმიერ საკითხში, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული იქნება საქართველოში სარკინიგზო ტექნოლოგიების და მომსახურების ამაღლების მიზნით.

2.3 წინამდებარე მემორანდუმში შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 3. მხარეთა ხელმოწერები

რკინიგზა: შპს „მარაბლა-კარჯახის რკინიგზა“


ხელმოწერა:



ბიმინა ბუმბაკიძე

უნივერსიტეტი: ა(ა)იპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“

ხელმოწერა:



ლევან კლიმაშვილი